საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის უფროსისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ერთობლივი ბრძანება №~~-------~~ 28773 №~~---~~ 381 – 9

2016 წლის 20 ოქტომერი **ქ. თბილისი**

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირების სწავლების 2016 წლის გეგმის დამტკიცების თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბერის №429 დადგენილებით დამტკიცებული „ფიტოსანიტარიული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-15 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ მე-17 მუხლის მე-6 პუნქტის საუძველზე, **ვბრძანებთ:**

1. დამტკიცდეს „სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირების სწავლების 2016 წლის გეგმა“.

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი თაბუაშვილი

სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფროსი

ზურაბ ჩეკურაშვილი

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ – შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილი პირების სწავლების 2016 წლის გეგმა

1. ნიმუშის აღებისა და მომზადების წესი – საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის №581 დადგენილებით დამტკიცებული „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით.

2. ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესი (პრაქტიკული სამუშაო).

3. სსიპ – შემოსავლების სამსახურისა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის ტრანზიტის ნებართვისა და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის წესი და პირობები (პრაქტიკული სამუშაო).

4. ფიტოსანიტარიული სერტიფიკატისა და რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატის ფორმები და გაცემის წესი (პრაქტიკული სამუშაო).

5. სსიპ – შემოსავლების სამსახურისა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვის გაცემის წესი და პირობები (პრაქტიკული სამუშაო).